საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №276

29 ივლისი 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 29 ივლისს 12:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, გიორგი კოხრეიძე და ალექსანდრე ვახტანგოვი. სხდომას არ ესწრებოდნენ: მარინა მუსხელიშვილი და ლელა გაფრინდაშვილი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული აუდიტორის შერჩევის პროცედურის გაუქმება და 2013 წლის პერიოდის განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, საგადასახადო და სამართლებრივი აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების მიზნით საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადება.

პირველი საკითხი

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. სხდომას საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით ესწრებოდნენ მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების დარგში კახაბერ სონიშვილი და მაუწყებლის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ელენე მიხაილოვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

შემდეგ გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2013 წლის პერიოდის განხორციელებული შესყიდვების გარე აუდიტორული შემოწმება არ ჩატარებულა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი გვავალდებულებს, რომ გამოვაცხადოთ 2013 წლის პერიოდის გარე აუდიტის ჩატარებაზე საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა საბჭოს მიერ დამტკიცებული აუდიტორის შერჩევის პროცედურა არის დასახვეწი და სამეურვეო საბჭო იმუშავებს ახალ დოკუმენტზე, ამიტომ კენჭისყრაზე ვაყენებ საკითხს აუდიტის შერჩევის არსებული პროცედურის გაუქმების შესახებ, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ხუთივე წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

გრიგოლ გოგელიამ კენჭისყრაზე დააყენა 2013 წლის პერიოდის განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, საგადასახადო და სამართლებრივი აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების მიზნით საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების საკითხი,

რომელსაც სხდომაზე დამსწრე ხუთივე წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა. საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2014 წლის 29 ივლისის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე		გრიგოლ გოგელია
სხდომის მდივანი		ირინე ზაქარიაშვილი